100 წელი

შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№18 (9.827)
19 – 26 მაისი 2018 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების გრაფიკი

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავთან დაკავშირებით დედოფლისწყაროში კვირეული გამოცხადდა. 19 მაისს ჩატარდა საფეხბურთო ფესტივალი (კახეთის ჩემპიონატი) 2007-2008 წლებში დაბადებულთა შორის.

კვირეულის ფარგლებში შემდეგი ღონისძიებებია დაგეგმილი:

- 22 მაისი, 18:00 სთ. – ხელოვნების სკოლის საკონცერტო დარბაზში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავთან დაკავშირებით, გაიმართება ქართველ კომპოზიტორთა საღამო;
- 23 მაისი, 14:00 სთ. – დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ფოტოგამოფენა ,,ძველი და ახალი დედოფლისწყარო“;
- 25 მაისი, 18:00 სთ. – კახეთის საპატრულო პოლიცია vs დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, ამხანაგური მატჩი მინი-ფეხბურთში, დედოფლისწყაროს ცენტრალური სტადიონი.

26 მაისი

- 11:00 სთ. – დედოფლისწყაროს მუნიციპალური ბიბლიოთეკა, კონფერენცია თემაზე: „დამოუკიდებლობის 100 წლისთავი“;
- 12:00 სთ. – რუსთაველის ქუჩა (ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრიდან – თამარ მეფის სკვერის ბოლომდე), სპორტული და კულტურული ღონისძიებები;
- ჩატარდება ტრადიციული „პურისა და ღვინის ფესტივალი“.
- მხატვრების გამოფენა;
- ხალხური რეწვისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა;
- მოეწყობა ყველა სოფლის ეთნოგრაფიული კუთხე;
- გამოფენა „წარმოებულია დედოფლისწყაროში“;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოფენა;

გაიმართება შეჯიბრი სპორტულ სახეობებში:

- ბაგირის გადანევა;
- მკლავჭიდი;
- სწრაფი ჭადრაკი;
- მარათონი;
- ქართული ჭიდაობა;
- 15:00 სთ. – კულტურის სახლის ფოიეში გაიხსნება თანამშრომელთა ნახატებისა და ხელნაკეთი ნივთების მოფენა;
- 15:30 სთ. – კულტურის სახლისა და სპორტის ცენტრის ახლადრეაბილიტირებულ მოედანზე ჩატარდება შეჯიბრი მაგიდის ჩოგბურთში;
- 16:00 სთ. – გალა-კონცერტი ადგილობრივი თვითმოქმედი კოლექტივებისა და ანსამბლების მონაწილეობით; დაჯილდოვდებიან „პურის, ღვინისა და ფოლკლორის“ ფესტივალსა (ნომინაციები: საუკეთესო ღვინო, საუკეთესო პური, საუკეთესო კუთხე) და სპორტულ ასპარეზობებში გამარჯვებულები.
- კულტურის სახლის ეზოში გაიმართება დისკოთეკა და საღამო დამთავრდება ფოიერვერკით.

„ევროპა ჩვენი ისტორიული არჩევანია“

გვ.3

ფეხბურთს შევეშვი და ...

ილია ცოფურიშვილი



გვ.8

დიდი და პატარა ჯილდო არ არსებობს

გვ.4

მართე მაღალი ნნევა

გვ.5

C M Y K

100 წელი დამოუკიდებლობის აღდგენიდან

26 მაისს საქართველოში დამოუკიდებლობის დღე აღინიშნება. ზუსტად 100 წლის წინ, 1918 წლის 26 მაისს, თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომლის დამოუკიდებლობა ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა ცნეს, არსებობა არასრული სამი წლის თავზე, საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ, შეწყვიტა. საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა 70 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, შეძლო.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ორმა დიდმა მოვლენამ - მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩასახულმა ეროვნულმა მოძრაობამ და პირველმა მსოფლიო ომმა - განაპირობა. ისტორიკოს ვახტანგ გურულის თქმით, რომ არა ამ ფაქტორების თანხვედრა, ვერც საქართველო და ვერც რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი სხვა ერები დამოუკიდებლობას ვერ მოიპოვებდნენ:

„პირველმა მსოფლიო ომმა რუსეთის სახელმწიფო მიიყვანა კრიზისამდე, რომელიც დამთავრდა 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციითა და რომანოვების დინასტიის აღსასრულით“, - განაცხადა ვახტანგ გურულმა. - „შესაბამისად, ამ იმპერიაში მცხოვრებმა დაპყრობილმა ერებმა მიიღეს იმისი წინაპირობა, აღედგინათ დამოუკიდებლობა. ქართველი ერი აღმოჩნდა ერთ-ერთი იმ რამდენიმე ერს შორის, რომელმაც შეძლო დაეგვირგვინებინა ეს 1921 წლის 26 მაისს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით.“

ვახტანგ გურული არ იზიარებს აზრს, რომ 1918 წელს დამოუკიდებლობის აღდგენა მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითობის წყალობით მოხდა, თუმცა ქართველ ისტორიკოსთა ნაწილი ამტკიცებს, რომ მაშინდელი პოლიტიკური ელიტა ფსიქოლოგიურად არ იყო მზად დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის. ისტორიკოსი ბონდო კუპატაძე იხსენებს იმ ფაქტს, თუ რა ძალისხმევა დასჭირდა საქართველოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მთავარ შემოქმედს, აკაკი ჩხენკელს, რათა ეროვნული საბჭო დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე დაეყოლიებინა:

„დეპეშას დეპეშაზე უგზავნიდა ბერლინიდან და მოითხოვდა ნოე ჟორდანიასა და სხვა პარტიული კოლეგებისაგან გამოეცხადებინათ დამოუკიდებლობა. ირაკლი წერეთელმა, რომელიც ყველაზე მემარცხენე იყო ქართველ სოციალ-დემოკრატებში, როცა დეპეშა წაიკითხეს და საბოლოოდ გადაწყვიტეს დამოუკიდებლობის გამოცხადება, თავში ხელი წაიშინა და დაიწყო ყვირილი, რას შვრებით, თქვენ ლუპავთ რუსულ დემოკრატიასო, როგორ შეიძლება, ჩვენ ვღალატობთ ჩვენს მოძმე რუსულ დემოკრატიას და მათ ვტოვებთ ბოლშევიკების სათარეშოდ, ეს როგორ შეიძლებაო.“

საბოლოო ჯამში, როგორც უკვე ვთქვით, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა დამოუკიდებლობა მაინც გამოაცხადეს. თავდაპირველად, დასავლეთის ქვეყნები თავს იკავებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარებისგან, თუმცა ვითარება მკვეთრად შეიცვალა 1920 წლის 7 მაისის, ანუ რუსეთის მიერ საქართველოს აღიარების, შემდეგ. 1921 წლის თებერვლამდე საქართველოს დამოუკიდებლობა ევროპის თითქმის ყველა წამყვანმა ქვეყანამ ცნო, თუმცა, ამის მიუხედავად, საქართველოს პირველმა რესპუბლიკამ არასრული სამი წელი იარსება. ვახტანგ გურულის თქმით, საქართველოს დამოუკიდებლობა დიდ პოლიტიკურ თამაშს ემსხვერპლა:

„ქართველებმა რომ დამოუკიდებლობა ვერ შევინარჩუნეთ, ეს იმას კი არ ნიშნავდა, რომ, ვთქვათ, ლატვიელებზე, ლიტველებზე და ესტონელებზე ნაკლებად მომზადებული ვიყავით ამისათვის. დიდმა პოლიტიკამ ინება მაშინ ისე, რომ დასავლეთმა ევროპამ (ანტანტის ქვეყნებმა) არ დაუშვა რუსეთის აგრესია ბალტიისპირეთში და დაიცვა ეს ტერიტორია, ხოლო, რუსეთისა და დასავლეთის სამყაროს გარიგებით, სამხრეთი კავკასია აღმოჩნდა ის რეგიონი, რომელიც ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა დაუთმეს საბჭოთა რუსეთს.“

საბჭოთა რუსეთმა თბილისი 1921 წლის 25 თებერვალს დაიკავა.ისტორიკოს ბონდო კუპატაძის თქმით, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, უნიათობას ამჟღავნებდა, ჯერ თბილისი, მოგვიანებით კი საქართველოს ტერიტორია დატოვა:

„ერთი დადებითი მაინც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არანაირი იურიდიული საბუთი არ დაუტოვებია იმისა, რომ მან ძალაუფლება გადასცა რომელიმე სხვა ძალას. ანუ საქართველოში ბოლშევიკების შემოჭრა დაფიქსირდა როგორც ოკუპაცია და, საერთაშორისო სამართლით, ეს იყო ოკუპაცია“, - განაცხადა ბონდო კუპატაძემ.

ოკუპაციის ფაქტის დაფიქსირებამ მნიშვნელოვნად გააადვილა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ და სხვა არაერთი ფაქტორის გათვალისწინებით, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ნოდარ ნათაძე, ამბობს, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართველი ერი გაცილებით რთული ამოცანის წინაშე იდგა:

„მონარქიული იმპერიის დამსხვრევა და იქიდან საქართველოს გამოხსნა ბევრად უფრო ძნელი ამოცანა იყო, ვიდრე საბჭოთა იმპერიის დანგრევა, იმიტომ რომ მონარქიას იმდროინდელი ნორმებით, ლეგიტიმურობა მოსდევდა. ეს იყო დინასტია, რომელსაც დაპყრობილი ჰქონდა გარკვეული ტერიტორიები და ითვლებოდა, რომ დაპყრობის შედეგი არის კანონიერი ფლობა. ახლა ეგრე აღარ ითვლება“, - განაცხადა ნოდარ ნათაძემ.

და მართლაც, გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველომ შეძლო დაშლის პირას მისული საბჭოთა კავშირიდან თავის დაღწევა. 70-წლიანი ტყვეობის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ეროვნულმა ძალებმა, 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმის საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინეს. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ აღადგინა დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო სიმბოლიკა, თუმცა 2003 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ საქართველომ უარი თქვა პირველი რესპუბლიკის დროშაზე, ღერბსა და ჰიმნზე. ეს უკანასკნელი ახალი თაობის პოლიტიკოსებმა ტექსტისა და მელოდიის სირთულის გამო დაიწუნეს.

ისტორიის ფურცლებიდან...

1800 წელს რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა იმპერიასთან ქართლ-კახეთის შეერთების მანიფესტი გამოსცა. ეს, ფაქტობრივად, საქართველოს სამეფოს გაუქმებას ნიშნავდა. გენერალმა კნორინგმა ქართველ ხალხს ჯარით გარშემორტყმულ სიონში წაუკითხა იმპერატორის განაჩენი. ქვეყანა, რომელსაც თითქმის ათი საუკუნე მართავდა ბაგრატიონთა დინასტია, რუსი მთავარმართებლის ხელში გადადიოდა.

იმპერია ნაბიჯ-ნაბიჯ სპობდა საქართველოს თვითმყოფადობას: გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია; ქართული წირვა-ლოცვა რუსულით შეიცვალა; გაიძარცვა საეკლესიო სიწმინდეები, განადგურდა ძეგლები; რუსული ენა დამკვიდრდა მმართველობის ორგანოებში, სასამართლოებში, სასწავლებლებში; განგებ აღვივებდნენ ეთნიკურ შუღლს საქართველოში მცხოვრებ ხალხთა შორის; რუსეთში გადაასახლეს ბევრი გამორჩეული მამულიშვილი, რომელთაც ხმა აიმაღლეს იმპერიის პოლიტიკის წინააღმდეგ; დაწესდა ცენზურა.

ქართველები უდრტვინველად არ შეგუებიან დამოუკიდებლობის დაკარგვას, მაგრამ აჯანყებებსა და შეთქმულებებს რუსეთის უზარმაზარი იმპერიის წინააღმდეგ შედეგი არ მოჰყოლია. ქართველებმა დროებით ჩააგეს ხმლები და, წარსულის სევდით განმსჭვალულებმა, მწერლობაში ჰპოვეს ნავსაყუდელი. ასე დაიწყო საქართველოში რომანტიზმის ხანა. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან კი თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაიშალა.

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, - ლელთ ღუნიას ეს სიტყვები მთავარ იდეად გასდევდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ აზროვნებას. „ერის დაცემა მაშინ იწყება, როცა ის თავის წარსულს ივიწყებს“, ამიტომაც თერგდალეულები ყოველნაირად ცდილობდნენ ეროვნული სულის გაღვივებას, თითქოს მომავალი დამოუიკიდებლობისთვის ამზადებდნენ ქვეყანას. შექმნეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გამოუშვეს ქართული ჟურნალ-გაზეთები, აღადგინეს ქართული თეატრი, დააფუძნეს ქართული სათავადაზნაურო ბანკი. 1905 წლიდან კი უკვე აშკარად დაიწყო ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად.

ისევე, როგორც ყველა სხვა იმპერიამ, მეფის რუსეთმაც ამოწურა თავისი ძალები. სახელმწიფოს შიგნით გაჩენილი წინააღმდეგობები 1917 წლის რევოლუციაში გადაიზარდა და საბოლოოდ დაასამარა რომანოვთა სამასწლიანი დინასტია. რუსეთს კავკასიისთვის აღარ ეცალა. საქართველოს ბედის შესაცვლელად ხელსაყრელი დრო დადგა. პირველმა ეს შესაძლებლობა ქართულმა ეკლესიამ გამოიყენა. 1917 წლის მარტში სიონის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. თავისუფლებამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები - მენშევიკები, რომელთაც მანამდე რუსეთის დროებით მთავრობაში სხვადასხვა პოსტი ეკავათ. რევოლუციურ პეტერბურგთან შედარებით თბილისი ოაზისს ჰგავდა, მაგრამ პრობლემებმა აქაც მალე იჩინა თავი. რუსეთის ახალ ხელისუფლებას აღარ სურდა გერმანიასა და თურქეთთან ომის გაგრძელება. კავკასიის ფრონტი დაიშალა, საქართველოს კი თავისი არც ხელისუფლება ჰყავდა და არც არმია, თავი რომ დაეცვა.

მენშევიკებმა 1918 წელს მოიწვიეს სეიმი, რომელსაც ამიერკავკასიის სამივე ქვეყნის მართვა უნდა ედო თავს. სეიმმა გამოაცხადა, რომ ამიერკავკასია რუსეთს გამოეყო. მაგრამ ჩრდილოელმა მეზობელმა „საჩუქარი“ მოუმზადა თავისუფლების გზაზე შემდგარ ქვეყნებს. საბჭოთა რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკში დადო ზავი, რომლითაც ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქებს გერმანიის მოკავშირე თურქებს უთმობდა.

> „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“.

თურქებთან მოსალაპარაკებლად ბათუმში ახალშექმნილი სეიმის მრავალეროვანი დელეგაცია ჩავიდა. მოლაპარაკება, რაღა თქმა უნდა, უშედეგო აღმოჩნდა. თავი იჩინა ამიერკავკასიის ქვეყნების ინტერესთა სხვადასხვაობამაც: თუ საქართველო და სომხეთი ვერ ეგუებოდნენ თავიანთი მიწა-წყლის დაკარგვას, აზერბაიჯანი ერთმორწმუნე თურქეთთან წინააღმდეგობას არ აპირებდა.

როცა საკითხის მოგვარების ყველა იმედი ამოიწურა, ქართულმა დელეგაციამ გამონახა გადარჩენის ერთადერთი გზა - დამოუკიდებლობა. საქართველო არ ცნობდა ბერსტ-ლიტოვსკის ზავს და გერმანიის მოკავშირე გახდებოდა, ხოლო გერმანიის მეორე მოკავშირე, თურქეთი, იძულებული იქნებოდა, შეგუებოდა ვითარებას.

სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური პროგრამა ეროვნული იდეალებისგან შორს იყო, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებაში ყოფნის ექვსმა თვემ მათ ცხადად დაანახა, რომ არავითარი ზოგადსაკაცობრიო იდეა არ იდგა მამულიშვილურ ვალზე მაღლა.

აი, რას წერდა მაშინდელი მოვლენების ერთ-ერთი მონაწილე ზ. ავალიშვილი: „ამ განსაკუთრებულ წუთში როგორ არ გვესმინა ისტორიული სტიქიების გუგუნი, როგორ არ ყურადგვეღო იმათი ხმა, ვინც დიდი ხანია აღარ არის... აი, დამოუკიდებლობამ კარზე მოაკაკუნა და როგორ არ შევეგებოთ აღტაცებით! თუ ეს წუთი გავუშვით, რა პასუხი გავცეთ იმათ, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა!..“

და 1918 წლის 26 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლის პირველ პუნქტში ეწერა ის, რაზეც საუკუნეების მანძილზე ოცნებობდა უამრავი მამულიშვილი:

„ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“.

უბნის ინსპექტორები ახალი სახელითა და ფუნქციებით იმუშავებენ

უბნის ინსპექტორები ახალი სახელითა და ახალი ფუნქციებით დაიწყებენ საქმიანობას. შს სამინისტრო ამ პოზიციაზე მოქალაქეთა მისაღებად ღია კონკურისის გამოცხადებს გეგმავს. კრიმინალური პოლიციის, მათ შორის უბნის ინსპექტორების მიმართულებით დაგეგმილ ცვლილებებზე შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა გიორგი გახარიამ პარლამენტში ისაუბრა.

როგორც მინისტრმა განაცხადა, კრიმინალური პოლიციის კომპონენტი სამართალდამცავი სისტემის და კრიმინალთან ბრძოლის ხერხემალია, თუმცა კრიმინალური პოლიციის დღევანდელი მდგომარეობა, საკმაოდ რთულია.

„დღეს, ამ ერთ-ერთ მსხვილ დეპარტამენტში უბრალოდ არ არსებობს სპეციალიზაცია. მდგომარეობა არის შემდეგი: - ისეთი თანამდებობრივი პოზიციები, როგორიცაა უბნის ინსპექტორი, ოპერთანამშრომელი და გამომძიებელი, არის მხოლოდ და მხოლოდ დასახელება და მხოლოდ სახელფასო გრადაციისთვის გამოიყენება. ამ დასახელებების უკან შინაარსობრივი გრადაცია არ არის. დღეს კრიმინალურ პოლიციაში სპეციალიზაციების მკაფიო გამიჯვნა ხდება. საგამოძიებო კომპონენტი ცალკე გამოიყოფა. დავიწყეთ ამ მიმართულებით ტესტირება. გვაქვს საკმაოდ კარგი მონაცემები, რომლის შესახებაც უახლოეს პერიოდში მოგახსენებთ. ცალკე ჩამოყალიბდება საგამოძიებო კომპონენტი და რაც ყველაზე მთავარია და რისი დიდი იმედიც გვაქვს, ეს არის უბნის ინსპექტორი, რომელიც უახლოეს პერიოდში ახალი სახელით და ახალი ფუნქციებით იქნება - ის იქნება უბნის ოფიცერი. უკვე შექმნილია მათი კონკრეტული სამოქმედო გეგმა. თბილისის მასშტაბით ჩვენ ასეთი პოზიციის 365 ადამიანი გვჭირდება. დაწყებულია 80 ადამიანის მომზადება. 10 ივნისიდან საქართველოს მოქალაქეებისათვის ღია კონკურსი გამოცხადდება და მათ ვაკანტური ადგილების დასაკავებლად მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ექნებათ. უბნის ინსპექტორი არის კრიმინალური პოლიციის ის ძირითადი კომპონენტი, რომლის საფუძველზეც ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო მომსახურება და საპოლიციო სერვისები უნდა შეიქმნას“, – განაცხადა გიორგი გახარიამ პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას.

2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატი საქართველოში გაიმართება

2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საქართველოში გამართვით არაჩვეულებრივი შანსი გვეძლევა მსოფლიოს უკეთ გავაცნოთ ჩვენი ქვეყანა, - ამის შესახებ პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ, თამარ ხულორდავამ განაცხადა.

„საქართველოს კიდევ ერთი აღიარება: 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატი თხილამურით და სნოუბორდით თავისუფალი სტილით სრიალში ბაკურიანსა და გუდაურში ჩატარდება. ეს სერიოზული სტიმულია ჩვენს ზამთრის კურორტებზე თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. არაჩვეულებრივი შანსი გვეძლევა მსოფლიოს უკეთ გავაცნოთ ჩვენი ქვეყანა. ამ ჩემპიონატს მომზადებული უნდა შეხვდეთ. ამ საქმეშია დიდია პრემიერის პირადი დამსახურება. დარწმუნებული ვარ, ყველა პირობა იქნება დაცული”, - აცხადებს თამარ ხულორდავა.

საბათლოს დაარსებიდან 100 წელი სრულდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დაგეგმილ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მერიის ყოველკვირეულ თათბირზე იმსჯელეს. ამასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა დეტალური ინფორმაცია მერის წარმომადგენლებისა და შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებისგან მოისმინა.

მუნიციპალიტეტის მერი ინფრასტრუქტურული სამუშაოების გარდა, სოფლებში არსებულ პრობლემებსაც გაეცნო და მათი გადაჭრების გზები ადმინისტრაციული და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან ერთად დასახა.

სამუშაო შეხვედრაზე 26 მაისს დაგეგმილ ღონისძიებებზეც ისაუბრეს. ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, წელს საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავია და ეს თარიღი ჩვენს მუნიციპალიტეტში ღირსეულად უნდა აღინიშნოს.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის მერმა კიდევ ერთ თარიღზე ისაუბრა: ,,წელს სოფელ საბათლოს დაარსებიდან 100 წელი უსრულდება და ვფიქრობ, ამ თარიღის აღნიშვნა აუცილებელია. ამიტომაც საბათლოში მერის წარმომადგენელს და სამსახურის ხელმძღვანელებს გთხოვთ, რომ შესაბამისი ღონისძიებები ერთობლივად დაგეგმოთ“– აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

მიწის რეგისტრაციის საპილოტე პროექტი სრულდება

მიწის სისტემური რეგისტრაციის საპილოტე პროექტის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები შეაჯამეს და გამოვლენილ ხარვეზებზე იმსჯელეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში გამართულ შეხვედრაზე. შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, პროექტის მენეჯერი ელენე გრიგოლია, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები და სოფელ არბოშიკის მაცხოვრებლები ესწრებოდნენ. აღინიშნა, რომ პრობლემები, რომლებიც საპილოტე პროგრამის დროს გამოიკვეთა, შესაბამის უწყებებთან ერთობლივი მუშაობით აღმოიფხვრება.

დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელისუფლებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ პირველ ეტაპზე გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის ყველაზე ეფექტური გზა სოციალური მობილიზაციის გაუმჯობესებაა, რაც ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის მეტ ჩართულობას გულისხმობს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოო საპილოტე პროექტს წინასწარ შერჩეულ 12 გეოგრაფიულ არეალში, მათ შორის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ორ სოფელში- არხილოსკალოსა და არბოშიკში ახორციელებს. პროექტის ფარგლებში, საკარმიდამო და სასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისათვის საჭირო ყველა პროცედურა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით, მოქალაქეთა ნაცვლად, უფასოდ შეასრულა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში პროექტის განხორციელება 2017 ნლის 4 დეკემბერს დაიწყო და მაისის ბოლოს დასრულდება.

„ევროპა ჩვენი ისტორიული არჩევანია“

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა სემინარში- „ევროპა-საქართველოს ისტორიული არჩევანი“ მიიღო მონაწილეობა. შეხვედრა-სემინარი საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით, თბილისის საკრებულოში ჩატარდა და მასში საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

მერებს მისასალმებელი სიტყვით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ, თბილისის მერმა კახი კალაძემ, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ და სხვა ოფიციალურმა პირებმა მიმართეს. თითოეულმა მათგანმა ჩვენი ქვეყნის განვითარებაში ევრიპის როლსა და შემდგომ პერსპექტივებზე ისაუბრა.

„ევროპა მართლაც ჩვენი ისტორიული არჩევანია, ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესები კი შრომატევადი და საპასუხისმგებლო. თითოეულმა ჩვენგანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ამ გზაზე ღირსეულად ვიაროთ. გამოვდივარ ინიციატივით, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრები რეგიონებშიც გაიმართოს. აქვე გამოვთქვამ მზაობას, რომ ერთ-ერთი პირველი მასპინძელი სწორედ დედოფლისწყაროს მინიციპალიტეტი იყოს“ - აღნიშნა შეხვედრაზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

მუნიციპალიტეტის მერი ახალგაზრდების უსაფრთხოებაზე ზრუნავს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი რესურსცენტრის ხელმძღველს, ეთერ დავითაშვილსა და საჯარო სკოლების დირექტორებს შეხვდა.

შეხვედრაზე სუბარი სასწავლო წლის ბოლოს დაგეგმილ სასკოლო ღონისძიებებსა და ბოლო ზარებზე ახალგაზრდების უსაფრთხოების დაცვას შეეხო. ,,უკანასკნელი თვეების განმავლობაში ჩვენს მუნიციპალიტეტში სიჩქარის გადაჭარბებით გამოწვეული რამოდენიმე ტრაგიკული შემთხვევა გვქონდა. მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ ეს ტრაგედიები ბოლო ზარის ღონისძიებეზე არ მომხდარა. გთხოვთ, ჩემი სახელით გადასცეთ ახალგაზრდებს, რომ საჭესთან მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინონ და იზრუნონ საკუთარი და მეგობრების უსაფრთხოებაზე, რადგან მათი სიცოცხლე და მომავალი არა მხოლოდ მათი ოჯახებისთვის , არამედ ჩვენთვისაც ძალიან ძვირფასია“- განაცხადა მუნიციპალიტეტის მერმა.

დიდი და პატარა ჯილდო არ არსებობს

თბილისში, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის სვეტებიან საგამოფენო დარბაზში საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარის“ და გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ სარედაქციო საბჭოს ერთობლივი გამოკითხვის შედეგად, სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულ, წარმატებულ ადამიანთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. დარბაზში თავი მოიყარა შესანიშნავმა საზოგადოებამ-ხელოვნების, კულტურის, პედაგოგიური, სამედიცინო, სამეცნიერო დარგების მოღვაწეებმა. ამჯერად ნომინატების მეხუთე დაჯილდოება მოეწყო. ამ ხუთი წლის მანძილზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით, გამოვლინდა ნომინაციები სხვადასხვა კატეგორიაში: „რეიტინგული ადამიანი“, „მეტრი“, „საუკუნის ლეგენდა“, „ახალგაზრდა პროფესონალი“, რომელშიც ისეთი ღვაწლმოსილი და დამსხურებული ადამიანები მოხვდნენ, როგორებიც არიან: ვაჟა აზარაშვილი, გივი თოიძე, თენგიზ მუშკუდიანი, რეზო ჩხეიძე, ელდარ შენგელაია, გიზო ჟორდანია, ნანი ბრეგვაძე, მედეა ამირანაშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, მანანა ახმეტელი, კუხალაშვილების ოჯახი და სხვა. მათ შორის დედოფლისწყაროდან-გოდერძი გონაშვილი, რობიზონ ნატროშვილი, ნიკოლოზ შანშიაშვილი, სპარტაკ ლაპიაშვილი, მერაბ რობიტაშვილი, აბრამ ხარაშვილი, თამარ მოძღვრიშვილი, ნაირა გორაშვილი, ინგა შიოლაშვილი, ძმები ზურაბ და ზვიად ბიკაშვილები, ანა ხარაშვილი, დეიკო ალუღიშვილი და სხვები. დაჯილდოება ყოველთვის მთავრდებოდა შესანიშნავი გალა კონცერტებით.

რიგით მეხუთე დაჯილდოებაც ძალიან ორგანიზებულ და ლამაზ ვითარებაში წარიმართა. ნომინაციაში „ბრენდ-პერსონა“ გამარჯვებულის ტიტული ერგო დედოფლისწყაროელებისათვის კარგად ნაცნობ და ავტორიტეტულ პიროვნებას, ღვაწლმოსილ პედაგოგს ეგული ყოჩიაშვილს, მოსწავლე-ახალგზრდობის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის „წლის საუკეთესო ქალბატონის“ წოდება მიენიჭათ: მარინა მაჭავარიან-ანჯაფარიძეს, ზურაბ ანჯაფარიძის მეუღლეს, მისი სახელობის ფონდის დაამარსებელსა და პრეზიდენტს, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდებში კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას და წარმატებებსაც მრავლად იმკის, ნუნუ ცაკაშვილ-იმერლიშვილს-დედოფლისწყაროს სასწავლო ცენტრ „სპექტრის“ დამაარსებელსა და ხელმძღვანელს, რომელმაც უკვე აბიტურიენტების რამდენიმე თაობა გაუშვა, რომლებმაც ჯამში 900 ათასი ლარის გრანტი მოიპოვეს და ეროვნულ გამოცდებზე ცოდნის უმაღლესი დონე აჩვენეს, ერნა წიფურიას- ბავშვთა ანსამბლ „ გვირილას“ დამაარსებელსა და სამხატვრო ხელმძღვანელს. „გვირილა“ უკვე 20 წლისაა და არ გავა წელი, რომ მათ მსოფლიო აღიარებას რომელიმე პრესტიჟული ქვეყნის თუ ფესტივალის სახელი არ შეემატოს, ევა ბაბალაშვილს- ქართველ ებრაელთა ასოციაციის პრეზიდენტს, სვეტლანა ჩიჩუას - საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის თავჯდომარეს, მაყვალა ხორბალაძეს - კომპოზიტორს. ამავე ცერემონიაზე ნომინაციაში „საიმედო მომავალი“ დაჯილდოვდნენ: ვოკალისტი, პერსპექტიული საოპერო მომღერალი, ბატონი გიორგი წამალაშვილი, რომელიც აპრილის თვეში ჩაირიცხა ლა-სკალას საოპერო აკადემიაში სტაჟიორად, სულ ახლახანს კი ვოკალისტთა პირველი საერთაშორისო კონკურსის ფინალისტი გახდა, მან მესამე ადგილი და ფულადი პრემია მოიპოვა. ის, მართლაც, ჩვენი საოპერო სივრცის საიმედო მომავალია. ანალოგიური ტიტული ერგოთ, აგრეთვე ვოკალისტებს: ნინო ჭავჭავაძეს, ნუცა ზაქაიძეს, მონიკა ჭანტურიას- გაზეთ „ბორჯომის“ ჟურნალისტს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს სოფელ მუკუზანიდან, მხატვარ-დიზაინერს; ფერმერებს: ბიძინა და გურამ გონაშვილებს და მამუკა მამუკელაშვილს;

ღონისძიება მიჰყავდა ჩვენს თანამემამულეს პოეტ მარინა ცხვედიაშვილს. ნომინანტებს ჯილდოები გადასცა საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარის“ დამფუძნებელმა და ჟიურის თავჯდომარემ ვახუშტი ქიზიყურაშვილმა.

ნომინანტებს მიესალმნენ და მათ ღვაწლზე ისაუბრეს თავადაც ცნობილმა და წარმატებულმა ადამიანებმა-პროფესორმა ინესა მერაბიშვილმა, რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის ლეგენდარულმა დირექტორმა, მეცნიერმა საზოგადო მოღვაწემ და მეცენატმა გურამ ქაშაკაშვილმა, ქართული საოპერო ხელოვნების ვარსკვლავმა მედეა ამირანაშვილმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, მხატვარმა ჯემალ კუხალაშვილმა და სხვებმა. ნომინატებმა მადლობა გადაუხადეს ჟიურის და მოსახლეობას, რომელთაც არაერთ კონკურსანტს შორის გამოარჩიეს და მათ მისცეს ხმა. მათი საერთო აზრი ასე ჩამოყალიბდა: არ არსებობს დიდი და პატარა ჯილდო, როცა ხალხი გამოგარჩევს, ბედნიერი ხარ. სრული ჭეშმარიტებაა.

დაჯილდოების ცერემონია დასრულდა საოპერო გალაკონცერტით, რომელიც მიჰყავდა არაერთი საერთაშორისო კონკურსებისა და ფესტივალების ლაურიატს, გამორჩეულ პედაგოგსა და შემსრულებელს, დიდი პეტრე ამირანაშვილის შვილიშვილს და მედეა ამირანაშვილის ქალიშვილს მარინე ფარულავას. მსმენელი მოხიბლა გიორგი წამალაშვილის, მაყვალა ასპანიძის, ნუცა ზაქაიძის, გიორგი ფარესიშვილს, ნინო ჭავჭავაძის, გვანცა ჯმუხაძის მიერ შესრულებულმა არიებმა.

ღონისძიება მოამზადა და ორგანიზება გაუკეთა ჟიურის წევრმა, გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ რედაქტორის მოადგილემ, მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს განყოფილების თავმჯდომარემ ნანა ჭიჭინაძემ.

ნაირა გორაშვილი

კიდევ ერთი წარმატება

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობს თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან, მონაწილეობას ვიღებთ შემოქმედებით და ფოლკლორულ კონფერენციებში. წელსაც არ დავარღვიეთ ტრადიცია და წარმატებით „ვიასპარეზეთ“ 72-ე სასწავლო შემოქმედებით კონფერენციაზე. იანვარში ჩვენთან ჩატარებული კონფერენციის მე-2 ტურზე შერჩეული თემები გავაგზავნეთ სასახლეში ფინალურ ტურზე. ჩვენი მუნიციპალიტეტიდან მიიწვიეს პირველ ადგილზე წარდგენილი შვიდი მოსწავლე.მათ დაიმსახურეს დიპლომები, სიგელები და ფასიანი საჩუქრები. მათ შორის დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის მოსწავლემ ნინო ცისკარაულმა მოიპოვა მე-2 ხარისხის დიპლომი, რომელიც იყო ერთადერთი მთელს რესპუბლიკაში ფოლკლორის სექციაში (მასწავლებელი ლალი ინაშვილი) .მოსწავლე-ახალგაზრდობის ეთნოგრაფია-მხარეთმცოდნეობის წრის წევრმა ნინო მახარაშვილმა (მასწავლებელი ნინო მეხრიშვილი)და სოფელ არხილოსკალოს სკოლის მოსწავლემ გიორგი უგუნურაშვილმა (მასწავლებელი დალი ჩოხელი) მიიღეს ფასიანი საჩუქრები.

ვულოცავთ ჩვენს წარმატებულ მოსწავლეებს დამსახურებულ გამარჯვებას და მუდამ წინსვლას ვუსურვებთ.

თამარ ლაპიაშვილი

საჩუქრად – ექსკურსია

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ კიდევ ერთი სიხარული აჩუქა მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელებს, მხიარულთა და საზრიანთა კონკრსის მონაწილეებს მოუწყო ექსკურსია შიო მღვიმის, სამთავროს და სვეტიცხოვლის დიდებული ტაძრების მოსანახულებლად და მოსალოცად.

13 მაისს დილაადრიანად ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით გავემგზავრეთ შიომღვიმისაკენ. ექსკურსიაში მონაწილეობდნენ: დედოფლისწყაროს №1 , ხორნაბუჯის საჯარო სკოლების მოსწავლეები და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პედაგოგები (ექსკურსიის ხელმძღვანელი თამარ აბულაძე).

ექსკურსია ძალიან საინტერესო იყო იმ მხრივ, რომ მოსწავლეების უმრავლესობას არ ჰქონდა ნანახი ქართველთა ეს უდიდესი სიწმინდეები. ბავშვებმა საინტერესო ცნობები მიიღეს ასურელი მამების შესახებ, სასოებით მოილოცეს ბერი გაბრიელის სავანე და სვეტიცხოვლის ტაძარი.

გარდა ამისა, ექსკურსია მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები დაუმეგობრდნენ ერთმანეთს, დაუვიწყარი და სასიამოვნო დრო გაატარეს. ისინი ხალისით გააგრძელებენ მეგობრობას და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ღონისძიებებში მონაწილეობას.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეებისათვის ეს ლამაზი დღე არის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის, ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილის უდიდესი მხარდაჭერის შედეგი, რისთვისაც ძალიან დიდი მადლობა მას. იმედი გვაქვს, კვლავაც არ მოგვაკლებს ყურადღებას და მხარდაჭერას, რომ კვლავაც გაახაროს ჩვენი მომავალი თაობა.

აგრეთვე დიდი მადლობა განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსს ქ-ნ თამარ თამაზაშვილს დაყველა იმ ადამიანს, ვინც იზიარებს ჩვენი მოსწავლეების სიხარულსა და სიამოვნებაზე.

თამარ ლაპიაშვილი

რეფორმა, რომელმაც უსახლკარო იხსნა

სოციალური სააგენტოს მიერ დედოფლისწყაროში უმისამართოდ მყოფ 90 წლის მარტოხელა მოხუცს სახელმწიფო თავშესაფარი გამოეყო. 90 წლის ალექსანდრა კურაევა მას შემდეგ, რაც ფსიქიკური პრობლემები დაეწყო, უმისამართოდ, კეთილი ადამიანების ანაბარა დარჩა. მოხუცს მთელი ცხოვრება ალაზნის ველზე ,სააგურე ქარხანაში აქვს გატარებული. ამბობს, რომ იქვე მუშაობდა და მეუღლე გარდაეცვალა. არავინ იცის, როგორ აღმოჩნდა ქალაქ დედოფლისწყაროში, თუმცა, რამდენიმე თვის წინ დედოფლისწყაროში, ღია ცის ქვეშ უწევდა ღამის გათევა. ბოლოს იგი სათნოების სახლში შეიფარეს, თუმცა დედოფლისწყაროს სათნოების სახლის მომსახურება ღამისთევას არ ითვალისწინებს. ამის მიუხედავად, თვეზე მეტი ხნის განმავლობაში მასზე სწორედ სათნოების სახლის თანამშრომლებმა იზრუნეს.

დედოფლისწყაროს სათნოების სახლის დირექტორი **მარინა ტოკლიკიშვილი** გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ ბევრი ძალისხმევის შემდეგ მოხუცისთვის პირადობის მოწმობის გაცემაც მოხერხდა და სოციალურმა სააგენტომ თავშესაფარშიც გადაიყვანა.

„ამ ქალბატონს ზამთარში ქუჩაში ეძინა, მოგვიანებით პატრულის თანამშრომლები აქცევდნენ ყურადღებას და ისინი ინახავდნენ. აღმოჩნდა, რომ არანაირი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ გააჩნდა და არც არასოდეს ჰქონია. ამავე პერიოდში მას დროებითი პირადობის მოწმობა გაუკეთეს. არავინ იცის როგორ, თუმცა ფაქტია, რომ მან გაპარვა მოახერხა და რაიონს გარეთ გასვლა შეძლო. შემდეგ დროებითი მოწმობის დახმარებით პოლიციამ დაადგინა, რომ გაუჩინარებული მოხუცი დედოფლისწყაროში იყო დაფიქსირებული და ეს ინფორმაცია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას აცნობეს. მერიამ მოხუცი სათნოების სახლში შემოიყვანა. ეს იყო მიმდინარე წლის 7 იანვარს. ვკვებავდით, მაქსიმალურად ვზრუნავდით მასზე... ვინაიდან ამ შენობაში ვერ დავტოვებდით, მორიგეობით ხან მე მიმყავდა სახლში, ხანაც სხვა თანამშრომლებს და ასე მორიგეობით ვპატრონობდით. პარალელურად, სამოქალაქო რეესტრის სამსახურში ვცდილობდით, მისთვის დოკუმენტაციის შეგროვება მოგვეხერხებინა. ფულსაც კი საკუთარი ჯიბიდან ვიხდიდით, რომ დროულად გაცემულიყო მასზე დოკუმენტები. შემდეგ სოციალური სააგენტოს ადგილობრივი ფილიალიც ჩაერთო. შეამოწმეს ექიმებმა და დასკვნა გასცეს. სოციალურმა სააგენტომ მოახერხა, რომ მისთვის დროულად დაენიშნათ პენსია. რაც მთავარია, იუსტიციის მინისტრის მიერ განხორციელებული ახალი ცვლილება დაგვეხმარა, რომ მოხუცს დოკუმენტი აეღო. აქამდე

პირადობის მოწმობა გაიცემოდა რაიმე სახის ძველ, საარქივო ჩანაწერზე დაყრდნობით. ამ ქალბატონის შესახებ კი არანაირი ჩანაწერი არ მოიპოვებოდა. მაგრამ განხორციელებული ცვლილების შემდეგ, თუკი მის დედოფლისწყაროში ცხოვრებას რამდენიმე მოქალაქე დაადასტურებდა, ესეც საკმარისი იქნებოდა. შემდეგ მივაკვლიეთ სოფელ სამთაწყაროს მაცხოვრებლებს, რომლებიც კარგად იცნობდნენ ამ ქალბატონს და ისიც ახსოვდათ, რომ წლების განმავლობაში ის ალაზანზე მდებარე სააგურეში ცხოვრობდა და მუშაობდა. გაირკვა, რომ ეს საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ მას დედოფლისწყაროში ცხოვრება დაედასტურებინა და პირადობის მოწმობა გაცემულიყო. საბედნიეროდ, მას უკვე აქვს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. რომ არა ეს ცვლილება, სავარაუდოდ, მისი პირადობის მოწმობის აღება შეფერხდებოდა. შემდეგ უკვე სოციალურმა სააგენტომ საკმაოდ ოპერატიულად გამოუნახა თავშესაფარი და ის ქალაქ წნორში მდებარე ერთ-ერთ სახელმწიფო თავშესაფარში მოათავსეს. თუ სხვა შემთხვევებში მარტოხელა მოხუცის დაფინანსების გამოყოფა დროში ჭიანურდებოდა, ან თავდაპირველად მისი შენახვის ხარჯების დაფარვა ხდებოდა აუცილებელი, ქალბატონი ალექსანდრას შემთხვევაში ეს დაბრკოლებები არ შექმნილა და აბსოლუტურად დროულად მოხდა მისი წნორში გადაყვანა. თავადაც კმაყოფილია ამ ცვლილებით და უნდა ითქვას, რომ ამ ქალბატონის ირგვლივ არსებული პრობლემები აღმოიფხვრა. მას ზოგჯერ კარგი მეხსიერება აქვს, მაგრამ ხშირად მას ყველაფერი ავიწყდება და ვეღარაფერს იხსენებს. საკმაოდ ხანდაზმულია და ახლა განსაკუთრებულ მზრუნველობას საჭიროებს,“ – აღნიშნავს სათნოების სახლის დირექტორი.

ილია მარტყოფლიშვილი

მართე მაღალი წნევა ექიმთან ერთად და იცხოვრე გართულებების გარეშე...

ჰიპერტენზიის მსოფლიო დღე ყოველწლიურად 17 მაისს აღინიშნება.

ჰიპერტენზიის მსოფლიო დღის აღნიშვნა ინიცირებულია ჰიპერტენზიის მსოფლიო ლიგის მიერ 2005 წლიდან, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და ჰიპერტენზიის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით. მისი ფორმატი, ძირითადად, ორიენტირებულია მოსახლეობისა და სამედიცინო პერსონალის განათლებაზე. ამ დღის აღნიშვნისას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა წნევის მასობრივი გასინჯვის აქციებს, საგანმანათლებლო მასალის გავრცელებას, სპორტულ ღონისძიებებს და, რაც ყველაზე აქტუალურია, საინფორმაციო კამპანიებს რადიო-ტელევიზიით, ბეჭდური მედიით, სოციალური ქსელების გამოყენებით.

2014 წლიდან ჰიპერტენზიის მსოფლიო დღის აღნიშვნის ინიციატორების მიერ შეირჩა სლოგანი - „იცოდე საკუთარი წნევა“. სლოგანი ხაზს უსვამს და აერთიანებს მიდგომას წნევის გასინჯვის, გაცნობიერების, მკურნალობის ადექვატური სქემის შერჩევისა და წნევის ციფრების მუდმივი მონიტორინგის აუცილებლობის შესახებ.

გლობალურად, ყოველი ათი მოზრდილიდან სამს მაღალი წნევა აღენიშნება. ჰიპერტენზიით დაავადებულია დაახლოებით 1.8 მილიარდი ადამიანი, რომელთა თითქმის ნახევარმა არ იცის ამის შესახებ; ხოლო მათ შორის, ვინც იცის, რომ აქვს მაღალი წნევა, გარკვეული ნაწილი არ იტარებს მედიკამენტოზურ მკურნალობას.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტშიც 17 მაისს აქტიურად აწარმოეს აღნიშნული კამპანია. საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების უფროსის ხათუნა აგლაძის ორგანიზებით , მედიკოსთა ჯგუფმა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში არტერიული წნევის გაზომვა განახორციელა. თავდაპირველად, თერაპევტები ქეთევან შანშიაშვილი და ნინო საყვარელიძე მედპერსონალთან ერთად აპარატურით ეწვივნენ სათნოების სახლს და ბენეფიციართა არტერიული წნევის შემოწმება ჩაატარეს. ისევე, როგორც საზოგადოების

უდიდეს ნაწილს, აღნიშნული პრობლემა დღის წესრიგში აქტიურად უდგას, არც სათნოების სახლის ბენეფიციარები აღმოჩნდნენ გამონაკლისნი. ექიმებმა მაღალი წნევის დაფიქსირებისას თითოეულ პირს შესაბამისი დანიშნულება და რჩევა-დარიგებები მისცეს. აქციის დასრულების მეორე დღეს ვესაუბრეთ სათნოების სახლის დირექტორს მარინა ტოკლიკიშვილს, რომელმაც ბენეფიციართა სახელით მადლობა გადაუხადა ექიმებს ამ მოწყვლადი ჯგუფის ჯანმრთელობის მდგომარეობის გულთან მიტანისა და მათი გამხნევებისთვის. როგორც ქალბატონმა ხათუნამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, აქცია განხორციელდა საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზეც და სხვა მასობრივი თავშეყრის ადგილებში, ე.წ. „ბირჟებზეც“კი. ხალხი სასიამოვნოდ იყო გაოცებული აღნიშნული გასინჯვებით და მადლიერებას გამოხატავდნენ ყურადღებისთვის, რაც დღეს ასეთი მ ნიშვნელოვანია პრობლემებით სავსე ჩვენი საზოგადოებისათვის.

ელზა ხარაშვილი

დავიცვათ ჩვენი უფლებები სხვათა უფლებების დარღვევის გარეშე...

13 მაისს გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში საკვირა სკოლის ფარგლებში მოეწყო შეხვედრა “ეს ჩვენი უფლებაა” . პროექტი დაფინანსებულია „ქალთა ფონდი საქართველოს“ მიერ და მისი დირექტორია ქ-ნი ლაურა ხარიტონაშვილი, ხოლო შეხვედრის ტრენერი გახლდათ იურისტი თათია ფურცელაძე. დედოფლისწყაროდან პროექტის წარმომადგენლის, ქ-ნ ნელი გობეჯიშვილის მიერ ქალთა ჯგუფი ორგანიზებულად გაემგზავრა აღნიშნულ ღონისძიებაზე დასასწრებად. მათ ძირითად ნაწილს პედაგოგები და კულტურის სფეროს წარმომადგენლები შეადგენდნენ, როგორც ქალაქიდან, ასევე სხვადასხვა სოფლებიდან.

პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს კახეთის რეგიონის სოფლად მცხოვრები მოსახლეობის გენდერული სტერეოტიპების დაძლევას, ქალებისთვის ფემინისტური მსოფლმხედველობის გაცნობას, საჭირო უნარჩვევებით აღჭურვას მათი გაძლიერებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის. პროექტის ფარგლებში გამოყენებული იქნება საინფორმაციო კამპანიის და არაფორმალური განათლების მრავალფეროვანი ფორმა და მეთოდი. მათ შორის, აღნიშნულ შეხვედრაზე თათია ფურცელაძის ტრენინგის შემდეგ , რომელიც ვეჯინის ივანე ბერიტაშვილის სახ. სახლ-მუზეუმში ჩატარდა, მოხდა ფილმის „უდაბნოს ყვავილის“ჩვენება. ფილმში ასახულია უბრალო სომალელი გოგონას - ვარის დირიეს ისტორია, რომელიც 13 წლისა ოჯახიდან გაიქცა, მოგადიშომდე მიაღწია და ლონდონში აღმოჩნდა.... რამნდენიმე წლის შემდეგ კი, ის მსოფლიოში ყველაზე პოპულარული მოდელი გახდა. ვარისი არ იყო პირველი

შავკანიანი მოდელი, თუმცა, ის გახდა პირველი ქალი, რომელიც გაეროს ელჩად დაინიშნა და FGM-თან ბრძოლის ფონდი დააარსა. სცენარი დაფუძნებულია ვარის დირიეს და კეტლინ მილერის საერთო ავტობიოგრაფიულ რომანზე.

დღის ბოლოს, ტრენინგისა და ფილმის ჩვენების შემდგომ, შედგა მცირე დისკუსია მოსმენილისა და ნანახის თაობაზე, მონაწილე წევრებმა, პირობა დადეს, რომ მომდევნო შეხვედრაზე უფრო სიღრმისეულად განიხილავენ აღნიშნულ თემებს და თავიანთი შთაბეჭდილებების გაზიარებამდე უფრო ღრმად დაფიქრდებიან.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ეს შეხვედრები კიდევ ოთხ კვირა დღეს გაიმართება და შემდეგ მონაწილეებს სერთიფიკატები გადაეცემათ.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

ნარკოტიკი, „ქართული მარში“ და „თეთრი ხმაური“

ნარკომანია მხოლოდ დაავადება როდია; იგი ცხოვრების წესია, გზა, რომელსაც ადამიანი ინტელექტის, სხეულისა და სულის განადგურებამდე მიჰყავს. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში ნარკომანია ჩვენი ცხოვრების თანამგზავრად იქცა. ბევრმა მხოლოდ ნარკომანების ერთი შეხედვით ამოცნობა კი არ ვისწავლეთ, არამედ ახლობლებსა და მეგობრებს შორის მათ არსებობასაც შევეგუეთ. არავისთვის არის საიდუმლო, რომ ახალგაზრდების თითქმის ნახევარს ამა თუ იმ ნარკოტიკისთვის ერთხელ მაინც გაუსინჯავს გემო. ტელევიზიით თუ პრესით თითქმის ამომწურავ ინფორმაციას ვიღებთ ამ დამლუპველი სენის შესახებ, და მაინც, ნარკომანთა რაოდენობა დღითი დღე იზრდება.

ნარკომანია ქრონიკული დაავადებაა, რომელიც გამოწვეულია სამკურნალო და არასამკურნალო ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენებით. მას ახასიათებს პათოლოგიური ლტოლვა ნარკოტიკული ნივთიერებისადმი, მისაღები დოზის ზრდის ტენდენცია და ფიზიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბება. იგი საყოველთაოდ მიღებული მორალურ-ზნეობრივი ნორმებისგან გადახრილი ქცევაა.

21-ე საუკუნის დასაწყისში საქართველოში ნარკომანია ყვაოდა. ქუჩები და შესასვევები გამოყენებული შპრიცებით იყო სავსე, „პლანი“ (გამხმარი მარიხუანა) ნებისმიერ რაიონში იყიდებოდა. ახლა სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა, ნარკომანები ან მკურნალობენ, ან იმალებიან.

ნარკოტიკების საყოველთაო გამოყენების აღმოფხვრისკენ ხელისუფლება თითქმის 15 წელი მიდიოდა. როგორც მომხმარებლების, ასევე ნარკომოვაჭრეების მიმართ პოლიტიკა 2003 წლიდან განსაკუთრებლად გამკაცრდა.

საქართველოში ნარკომოვაჭრეთა მიმართ ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი კანონია. განსაკუთრებულად დიდი რაოდენობის ნარკოტიკებით ვაჭრობა უვადო პატიმრობით ისჯება, შენახვა, შეძენა და გადატანა - ვადით 8-დან 11 წლამდე.

კანონი ასევე ფსიქოტროპული პრეპარატების შემოტანას მკაცრად აკონტროლებს. ისინი მხოლოდ რეცეპტით იყიდება. ისეთი წამლების შემოტანის დროს, როგორიცაა დიაზეპამი, ლირიკა, რელანიუმი, ტრამადოლი და კეტამინი, წამალს თანდართული უნდა ჰქონდეს რეცეპტი მკურნალი ექიმის გვარით, მისი სერტიფიკატით და დიაგნოზით. უსაბუთოდ ასეთი წამლების შემოტანა ისჯება თავისუფლების აღკვეთით -5 წლის ვადით . ასევე, საქართველოში ყაყაჩოს ნებისმიერი სახეობის, მათ შორის „საკონდიტრო ყაყაჩოს“ შემოტანა სასტიკად აკრძალულია, ეს 5-დან 11 წლამდე პატიმრობით ისჯება.

მიუხედავად მკაცრი ნარკოპოლიტიკისა, ნარკოტიკების აკრძალვა მაინც ვერ ხერხდება.

გარდა ზემოთ უკვე ნახსენები ნარკოტიკული საშუალებებისა, ასევე ცნობილი და საკმაოდ გავრცელებულია ე.წ კუსტარული ნარკოტიკი, როგორებიცაა: “ნიანგი“, “ვინტი“ და “ჯეფი“, ისინი დიდ ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას და მეტიც, საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს. ამ ბოლო დროს გავრცელდა კლუბური ნარკოტიკები: ბიო-ნარკოტიკი და „ მკვლელი მარილი“, რომლის გამოყენების შედეგად საკმაოდ ბევრი ადამიანი გარდაიცვალა საქართველოში. როგორც ამბობენ, ამ ნარკოტიკების გამოწერა ინტერნეტის საშუალებით ხდება.

12 მაისს ღამით ჩატარებულმა სპეცოპერაციამ კლუბების მეპატრონეთა და იქ მყოფი ადამიანების პროტესტი გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ შსს ამტკიცებდა, რომ სპეცოპერაციას წინ უძღოდა ოპერატიული ვიდეომასალა და სასამართლოს მიერ გაცემული ნებართვა, საზოგადოების ერთმა ნაწილმა ჩათვალა, რომ იქ მყოფი ადამიანების უფლებები დაირღვა. საპროტესტო აქციას სათავეში „თეთრი ხმაური“ ჩაუდგა. აქცია თავიდან მშვიდად მიმდინარეობდა. მდგომარეობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც კონტრაქცია მოაწყეს „ქართული მარშის“ წარმომადგენლებმა. ისინი აგრესიულობით გამოირჩეოდნენ და ე.წ. ნარკოტიკების დამცველებს ძალის გამოყენებით ემუქრებოდნენ, შეურაცხმყოფელი და უწმაწური სიტყვების სიუხვეზე აღარაფერს ვამბობთ, რომელიც ორივე აქციის მონაწილეთა მხრიდან ისმოდა...

სიტუაციის განმუხტვა თავის თავზე ხელისუფლებამ აიღო. ქვეყნის პირველმა პოლიციელმა მოლაპარაკებები გამართა აქციის ორგანიზატორებთან, მათთან დიალოგის დასრულებისთანავე მიტინგზე გამოვიდა და ბოდიშის მოხდის შემდეგ, ვითარების დეესკალაციის მიზნით, საპროტესტო აქციის დაშლისკენ მოუწოდა მონაწილეებს. ამ მოთხოვნამ ზოგი გააღიზიანა, თუმცა გადაწყვეტილება მაინც მიიღეს-დაიშალნენ, ოღონდ დროებით, იქამდე, სანამ ხელისუფლება მათ მოთხოვნებს არ შეასრულებს. ტაიმ-აუტი მაშინ დასრულდება, თუ მოლაპარაკების

მაგიდასთამ მჯდომი ორივე მხარე არ იქნება კმაყოფილი.

გადაწყვეტილებამ აქციის დაშლის თაობაზე გააღიზიანა ოპოზიცია, განსაკუთრებით კი „ნაციონალური მოძრაობა“. მათი თქმით, ამ თამაშში მოგებული დარჩა მხოლოდ ხელისუფლება. სხვაგვარი იყო საზოგადოების დამოკიდებულება. ხალხის აზრით, მთავარი იყო, რომ არ მოხდა დაპირისპირება ქართველებს შორის.

ნარკოტიკი კი, არა მარტო ჩვენი, მსოფლიოს შავი ჭირია, რომელსაც სიკვდილი მოაქვს. ნარკომოვაჭრეების მიმართ კანონი უფრო უნდა გამკაცრდეს, ნარკომანების არჩევანი კი მათზეა დამოკიდებული- ან გადაწყვეტენ მკურნალობას და ნარკოტიკზე უარის თქმას, ან არა.

* * *

საქართველოში ყოველ 10 ათას ადამიანზე 29 ნარკომანია, ოფიციალური მონაცემების თანახმად მკურნალობას მათგან ძალიან მცირე ნაწილი გადის.

ნარკოტიკზე დამოკიდებულ ადამიანს მათგან განთავისუფლება ყოველთვის შეუძლია. ამაში გადამწყვეტ როლს პაციენტის მოტივაცია ასრულებს. საქართველოში ნარკოდამოკიდებული ადამიანების მკურნალობის სპეციალური სახელმწიფო პროგრამა არსებობს, მათ შორის „მეტადონით“ ნარკოტიკების შეცვლის მეთოდი. ამ პროგრამაში ნარკომანთა 11,5% ირიცხება. ამ პროგრამით შეიძლება ისარგებლონ ნარკომანებმა, რომლებიც დამოკიდებულების მოცილებას პირველად ცდილობენ, აივ-ინფიცირებულებმა, 18-დან 25 წლამდე ასაკის ადამიანებმა და სოციალურად დაუცველებმა. ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით, სულ საქართველოში ნარკოდამოკიდებულებისგან 2,2 ათასი ადამიანი მკურნალობს, მათგან 95 პატიმარია.

რა არის ნარკოტიკი?

ნარკოტიკი ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და გამბრუებელს ნიშნავს. ნარკოტიკების წარმოშობისა და გავრცელების ისტორიას რამდენიმე ათასწლეულს მიღმა მივყავართ. მის წარმოშობას ავღანეთს უკავშირებენ, საიდანაც დაახლოებით 6000 წლის წინ მცენარე კანაფი შეიტანეს ჩინეთში, მაშინ ამ მცენარეს თოკის დასამზადებლად და სამკურნალო საშუალებად იყენებდნენ. ძირითადად რევმატიზმის, მალარიის, შეკრულობის დროს. დროთა განმავლობაში ჩინეთში კანაფის ნარკოტიკულ ეფექტის შესახებაც მიიღეს ინფორმაცია, მაგრამ მისით გამოწვეული არამტივირებული, უადგილო სიცილის შეტევები არ შეესაბამებოდა ჩინურ ფილოსოფიას და ამიტომ მან ნარკოტის სახით ჩინეთში ფეხი ვერ მოიკიდა. ასევე უძველესი პერიოდიდან კაცობრიობისთვის ცნობილია საძილე ყაყაჩო. მისი გამოყენება საძილე საშუალებად შუა აღმოსავლეთში დაიწყეს — საკვების მომზადებისას, აგრეთვე გაუტკივარების მიზნით. შუმერულ ჩანაწერებში (IV-III ათასწლეული ჩვ. ერამდე) იგი მოხსენიებულია როგორც “მალხენი მცენარე“. 1903 წლამდე მედიცინაში იყენებდნენ თვითონ მცენარეს, მოგვიანებით კი გერმანელმა აფთიაქარმა ცენტურნერმა ყაყაჩოსგან გამოჰყო ძირითადი ალკალოიდი, შეისწავლეს მისი თვისებები უწოდეს მორფინი. მითიური ღმერთის - მორფეუსის პატივსაცემად. შპრიცის გამოგონების შემდეგ, მორფინის კანქვეშ შეშხაპუნების მეთოდმა ფეხი მოიკიდა თერაპიაში, რამაც სამწუხაროდ დააჩქარა მორფინიზმის, როგორც ნარკომანიის ერთ-ერთი ფორმის გავრცელება.

გერმანელმა ფარმაცევტმა დრეზერმა, რომელიც პრეპარატ ასპირინის ავტორი გახლდათ, 1898 წელს, მიიღო მორფინზე გაცილებით ძლიერი მოქმედების და ჯანმრთელობისთვის ბევრად უფრო მავნე ნარკოტიკი. მის მიერ მიღებული პრეპარატი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ “ჰეროიკული“ შესაძლებლობების მქონე საშუალებად მიიჩნიეს და აქედან გამომდინარე, ჰეროინი უწოდეს. თავდაპირველად აღნიშნული პრეპარატი ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა დაავადების, მათ შორის მორფინიზმის სამკურნალოდ, მაგრამ პაციენტების მიჩვევისა და დამოკიდებულების განვითარების გამო, იგი მალევე ამოიღეს ხმარებიდან. არსებობს ცნობილი ექიმისა და ფილოსოფოსის, ავიცენას მიერ გამოწერილი რეცეპტი ოპიუმის შემცველ სამკურნალო საშუალებაზე, სადაც იგი მიუთითებს, რომ ამ წამლის ხანგრძლივმა გამოყენებამ შეიძლება მიჩვევა გამოიწვიოს. ეს დაახლოებით მე-11 საუკუნის რეცეპტი, ფაქტობრივად, პირველი სამედიცინო დოკუმენტია, რომელიც ამტკიცებს, რომ ექიმები ამ პერიოდიდან ცდილობდნენ, წინ აღდგომოდნენ ოპიუმზე დამოკიდებულებას. ოპიუმის ბედი ძალიან საინტერესოა ჩინეთში, რადგან როგორც უკვე ავღნიშნეთ, ეს ქვეყანა საკმაოდ უნვედა წინააღმდეგობას მსგავსი სახის პრეპარატებს. ქვეყანაში ოპიუმი ძირითადად ინდოეთიდან შედიოდა, რასაც ინგლისელები საკმაოდ უწყობდნენ ხელს. XIX საუკუნეში ოპიუმის მოწევა ჩინეთში არნახული მასშტაბის უბედურებად იქცა. ჩინეთის მთავრობა ამ ფაქტით შეშფოთებული, მუდამ ეძებდა გამოსავლის გზებს და 1839 წელს დაიწყო პირველი შეიარაღებული კონფლიქტი, ბრიტანეთსა და ჩინეთს შორის. ეს კონფლიქტი საკმაოდ სერიოზული სახის იყო და 5 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ პერიოდში ჩინეთის მთავრობამ, გაანადგურა საკუთარ ქვეყანაში არსებული დიდი რაოდენობით ოპიუმის შემცველი ტვირთი, რომელიც ბრიტანელ ვაჭრებს ეკუთვნოდათ. ამ კონფლიქტს სხვანაირად “ოპიუმის ომსაც“ უწოდებენ. ამის შემდგომ აღნიშნული პრეპარატის როგორც მიწოდება ასევე მოხმარებაც საკმაოდ შემცირდა. მე-20 საუკუნეში კი ჩინეთში სასტიკად აიკრძალა ოპიუმით ვაჭრობა. ჩინეთიდან კი ოპიუმმა ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში შეაღწია. ოპიატების სწრაფ გავრცელებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში მეცნიერმა ფრიდრიხ ვილჰელმ სერტიურნერმა ოპიუმისგან კრისტალური სახით გამოყო თეთრი ნივთიერება მორფიუმი- სწორედ ის განაპირობებდა ოპიუმისთვის დამახასიათებელ საძილე და ტკივილგამაყუჩებელ ეფექტს.

მორფიუმმა უამრავი ხალხი იხსნა სიკვდილისა და მტანჯველი ტკივილისგან, თუმცა მილიონობითვე ადამიანი მორფინიზმით - ნარკომანიის ერთ-ერთი მძიმე ფორმით-დააავადა.

მაშინ როდესაც ესპანელებმა ინკების ქვეყანა დაიპყრეს, შენიშნეს ადგილობრივთა უცნაური ჩვევა. ინდიელები ერთ-ერთი მცენარის კოკას ფოთლებს ღეჭვდნენ. მოგვიანებით ესპანელებმა გადაწყვიტეს რომ ინდიელებისათვის ამ ტრადიციის შენარჩუნება მათთვის მომგებიანი იქნებოდა. ამის შემდგომ ისინი მუშებს ხელფასს კოკას ფოთლებით უხდიდნენ. მოგვიანებით კოკას ფოთლებიდან გამოყვეს ალკალოიდი, რომელსაც კოკაინი უწოდეს. ესპანეთის მეფე ფილიპე მეორემ ამის საწინააღმდეგოდ კანონიც კი გამოსცა, მაგრამ კოკა მაინც ელვის სისწრაფით გავრცელდა. მისი მასობრივი წარმოება კი მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყო. ექიმებმა სცადეს კოკაინის მორფინიზმის საწინააღმდეგო საშუალებად გამოყენება, მაგრამ ამ გზით გაჩნდა ახალი სახესხვაობა კოკაინიზმი, აღმოჩნდა რომ მათი ვარაუდი ვერ გამართლდა და პირქით უარყოფითი შედეგიც კი მოიტანა რადგან კოკაინიზმი ბევრად უფრო საშიში გამოდგა, ვიდრე ის დაავადება, რომელსაც ებრძოდნენ. 1886 წელს სწორედ ზემოთ ხსენებული კოკაინის მეშვეობით მიიღეს ცნობილი გაზიანი უალკოჰოლო სასმელი “კოკა-კოლა“. მოგვიანებით კოკაინი ამოიღეს ამ სასმელის რეცეპტიდან.

კანაფი ანუ კანაბისი. იგი ერთწლიანი და ორსქესიანი მცენარეა, რომლის ყვავილი შეიცავს როგორც ბუტკოს ასევე მტვრიანას, სწორედ ამის გამო ეწოდება მას ორსქესიანი. კანაბის ფოთლები მსხმოიარე და ყვავილოვან ყლორტებს შეიცავს. ფსიქოაქტიურ ნივთიერებას ტეტრაჰიდროკანაბინოს. ცნობილია კანაფის სამი სახეობა: ჩვეულებრივი კანაფი, ინდური კანაფი და ველური კანაფი. ეს რაც შეეხებოდა მოკლედ ისტორიულ ინფორმაციას, ნარკოტიკების სხვადასხვა სახეობის ნარმომობის და მათი დანიშნულების შესახებ. ახლა კი ზოგადად, კიდევ ერთხელ ავღნიშნავთ იმას რომ ნარკოტიკულ საშუალებებს მედიცინაში ძირითადად ტკივილის გამაყუჩებელ, საძილე საშუალებად იყენებენ. იგი აერთიანებს როგორც მცენარეული წარმომობის ასევე თავად ადამიანის მიერ მიღებულ ქიმიურ ნივთიერებებს. ***ნარკოტიკი ფსიქოაქტიური ნივთიერებაა, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და ცვლის ადამიანის გუნება-განწყობილებას, გრძნობებს, აღქმის უნარს ასევე მის ქცევებს. სისტემატურად მიღების შემთხვევაში ორგანიზმი უკვე ეჩვევა ამ ნივთიერებას და ჩვეულებრივ ნივთიერებათა ცვლის შემადგენელ ნაწილად იქცევა. ადამიანის ორგანიზმის ამ თვისებას “ტოლერანტობა“ ეწოდება. შეგუების შემდგომ კი არსებული დოზა პერნამენტულად გამოიყენება და შესაბამისად ნარკოტიკის ეფექტიც სუსტდება. ამ დროს ადამიანი თუ კვლავ მასზეა დამოკიდებული და არ ცდილობს განკურნებას, მაშინ “სასურველი“ შედეგის მისაღწევად აუცილებელი ხდება დოზის გაზრდა.*** სწორედ ამ პროცესს რომელიც დროთა განმავლობაში ფატალურ შედეგებს იღებს “დამოკიდებულების“ ჩამოყალიბება მოჰყვება. დამოკიდებულება მიჩვევის გამოვლინებაა და გულისხმობს, როდესაც ადამიანი თავს კარგად გრძნობს მხოლოდ შესაბამისი ნარკოტიკული საშუალების მიღებისას.

ორგანიზმისთვის ნარკოტიკის ***მიღება საკმაოდ შემაწუხებელია როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური მდგომარეობისთვის. ზოგჯერ მისი საზღვრები იმდენად იზრდება, რომ ფატალურ შედეგებამდე მიყავს მომხმარებელი. სერიოზული საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლეს. ასეთ დაძაბულ ფსიქიკურ და ფიზიკურ მდგომარეობას მედიცინაში “აღკვეთის სინდრომი“ ეწოდება. საზოგადოებაში კი უფრო ცნობილია „ლომკის“ სახელით.*** იქიდან გამომდინარე, რომ ნარკოტიკები საკმაოდ განსხვავებულია როგორც შემადგენლობით, ასევე ადამიანზე მოქმედებითაც, ისინი შეიძლება თვისებების მიხედვით სამ ჯგუფად გამოვყოთ: ცენტრალური ნერვული სისტემის დეპრესანტები - მასში ერთიანდება ის ნივთიერებები, რომლებიც ნერვული სისტემის აქტივობას თრგუნავს. მაგალითად, ოპიუმის ჯგუფის საძილე და დამამშვიდებელი საშუალებები, ალკოჰოლი. ასეთი ნივთიერებების ჭარბი გამოყენება იწვევს ცნობიერების დაკარგვას, კომას, ღვიძლის ციროზს, ორგანიზმის გამოფიტვას და, შესაძლოა, სიკვდილსაც. ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულატორები - ნივთიერებები ,რომლებიც ნერვულ სისტემაზე გამააქტიურებელ ზემოქმედებას ახდენენ. ასეთებია, მაგალითად ,კოკაინი, კოფეინი და ნიკოტინი. მათი ჭარბი რაოდენობით მიღება იწვევს ინსულტს, გულყრას და გონების დაკარგვას.ჰალუცინოგენები - ნივთიერებები რომლებიც იწვევენ ჰალუცინაციებს. ასეთებია მაგალითად: მარიხუანა, ექსტაზი, ელესდე (LSD) ასევე სხვადასხვა ტოქსიკური ინჰალაციები (წებო და საყოფაცხოვრებო ქიმიის სხვა პროდუქტები).

„შირაქის“ სკივრი

1982 WLIS MAISI

◆ MOQALAQE L. RAZAZES SAFULE DARCA WITELWYAROS SAVAWRO CENTRIS SEKERILEBISA DA TRIKOTAJIS SEQCIASI. VER GAIXSENA, SAD DAKARGA SAFULE DA ATASI EWVI UTRIALEBDA TAVSI. AMDROS KI SAVAWRO CENTRIS SEQCIIS GAMGE LENA QADAGIZE SEWUXEBULI IJDA GAZETIS REDAQCIASI DA ITXOVDA, MOMEXMARET, VIPOVOT DAZARALEBULIO. VIKVLIET, VEZEBET DA DAZARALEBULS ÐANAKARGI UKLEBLIV CABARDA. REDAQCIASI MADLOBIS SATQMELAD MOVIDA MOQALAQE N. GOMELAURIC, ROMELSAC SAFULE DARCA WITELWYAROS #1 SASURSATO MARAZIASI. GAMYIDVELMA SASIKO GVRITISVILMA KITXUL-KITXULIT MIAGNO DARONEBUL PATRONS DA SAFULE SAXLSI MIUTANA. KETILI SAQME RIRSEBAS MATEBS ADAMIANS.

◆ WITELWYAROSI DAZLEULI AR ARIS NAKLOVANEBANI MOSAXLEOBIS SAVAWRO, KOMUNALUR, SAYOFACXOVREBO, SAMEDICINO MOMSAXUREBASI - NATQVAMIA SAQARTVELOS KOMPARTIIS CENTRALURI KOMITETIS DADGENILEBASI, `SOCIALUR-EKONOMIKUR AMOCANATA IDEOLOGIURI UZRUNVELYOFISTVIS PARTIIS WITELWYAROS RAIKOMIS MUSAOBIS SESAXEB~ UKOMPROMISO BRZOLA GAMOVUCXADOT NEGATIUR MOVLENEBS!

◆ WITELWYAROS PURKOMBINATMA XARISXIS GAUMJOBESEBIS MIZNIT PURIS FORMA DA WONA SECVALA. ORKILOGRAMIANI PURI CXOBIDAN AMOREBULIA, SAMAGIEROD GAMODIS RAMDENIME MCIRE ASORTIS PURI. QARTULI LAVASIS SACXOBEBSI 800 LAVASI CXVEBA, NACVLAD KILOIANISA DA RIRS 40 KAP. AMIT TITQOS KARGI SAQME GAAKETES, MAGRAM ES SIAXLE SARFIAN SAQMED GADAAQCIES MCXOBELEBMA DA GAMYIDVELEBMA. AQAMDE UMARLESI XARISXIS LAVASI 45 KAPIKI RIRDA DA MYIDVELI MXOLOD 5 TETRIT TYUVDEBODA. AXLA KI 40 KAPIKIANSI MYIDVELS ISEV 50 KAPIKS AXDEVINEBEN, TANAC NAKLEBI WONIT. YOVELDRIURAD TU DAVIANGA RISEBT, MASIN MIVXVDEBIT RAMDENI MOGEBA CADIS MAT JIBESI. REDAQCIASI SEMOSULI MOQALAQETA WERILEBIS PASUXAD SEMOWMDA PURKOMBINATTAN ARSEBULI TONE. IS SAZKVEBIS OBIEQTEBS AMARAGEBS DA TONESI PURIS GAYIDVA AR SEIZLEBAES KARGAD ICIAN MCXOBELEBMA MAGRAM MAINC TVITNEBOBEN. PURS SACXOBSIVE HYIDIAN, TANAC FASEBIS DAMAXINJEBIT, OR LAVASS 1 MANETAD. SEMOWMEBIS MOMENTSI MCXOBELMA MUSAM GIORGI ZAMTREULMA KASRISWYLIS TRAQTORISTS ORI LAVASI MANETAD MIHYIDA DA XURDA 20 KAPIKI AR DAUBRUNA. QARTULI PURI GANTQMULIA, MAGRAM MISI RIRSEBA UFRO DIDIA, ROCA CXELIA. AMITOMAC MYIDVELI CDILOBS TONESIVE IYIDOS DA MARAZIEBAMDE ARARC MIDIS.

◆ SAMUSAO KVIRA ORI GAMOSASVLELI DRITYVELA MOQALAQEZE SABWOTA KAVSIRIS KOMUNISTURI PARTIIS MSOBLIURI MZRUNVELOBIS SEDEGIA. PRAQTIKAM CXADHYO, ROM 5 DRIANI SAMUSAO KVIRA BEVR WARMOEBA-DAWESEBULEBASI, UFRO KI SAMEDICINO PUNQTEBSI SAFUZVELS MOKLEBULIA. GAMORICXULI AR ARIS, ADAMIANS SAEQIMO DAXMAREBA DASWIRDES SABATSAC DA KVIRASAC. XALXIS KETILDREOBAZE ZRUNVIDAN GAMOMDINARE SABWOTA KAVSIRIS MINISTRTA SABWOM JANDACVIS SAMINISTROS MIUTITA, ROM SAMUSAO KVIRA POLIKLINIKEBISTVIS GANSAZRVRULIYO 6 DRITXOLO DASVENEBISA DA SADRESASWAULO DREEBSI DAWESEBULIYO MTKICE MORIGEOBA. AMITOM, WITELWYAROS RAIPOLIKLINIKA DA MISI YVELAUBANI MUSAOBS 6 DRES.

◆ DIDAD GULSATKENIA, ROM WITELWYAROSI MENAGVE BRAKONIEREBI MOMRAVLDNEN. RAIONIS SEMOGARENSI TAVISUFAL ADGILS TUKI SENISNAVEN, MASINVE SANAGVED XDIAN. AVIROT `LETNIKIS~ TYISKEN MIMAVALI GZIS PIREBI. RAMDENJER GASUFTAVDA, SEMOIROBA, MAGRAM XVRELS MAINC POULOBEN DA NAGAVS ISEV YRIAN. ASEVEELIIS TBISAKEN MIMAVALI GZISPIREBIC. RAIONIS ROMEL KUTXE-KUNWULSI ARSEXVDEBIT ASET VAIMOQALAQEEBS DAMATI GMIROBIT DABINZUREBUL MIDAMOS. AM WERILIS DAWERA KI ERTMA COCXALMA FAQTMA GVIKARNAXA. SIRNARIS SATYEO MEURNEOBIS WITELWYAROS FILIALIS MZROLMA ALEQSANDRE LOLASVILMA TAVISZE GAPIROVNEBULI MANQANIT NAGAVI SPECIALURAD GAMOYOFIL ADGILZE KI AR DAYARA, ARAMED ARBOSIKIS KOLMEURNEOBIS XEXILIS BARTAN CAMOCALA. AQ ERTI RAMEA KIDEV UFRO METAD SAWYENI. ALEQSANDRE TYESA DA BUNEBAS EMSAXUREBA, TITON PIRVELI UNDA ICAVDES BUNEBAS GABINZUREBISGAN, TITONVE DAANAGVIANA. VISAAQVS UFLEBA ASE DASCINOS SAZOGADOEBAS, TAVSTANAMDEBOBRIV UFLEBA-MOVALEOBEBS, KACURKACOBIS WESSA DA KANONS?!,~ - WERS SS WITELWYAROS RAIGANYOFILEBIS SAXELMWIFO AVTOINSPECTORI IRODI POPIASVILI.

(STILI DACULIA)

კურიშკოს ძეგლი ქალაქ წითელწყაროში, დღევანდელი ღვთისმშობლის ტაძრის ადგილზე.

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

მონატრება

ნინო ტოკლიკიშვილი

გადის სევდიანი 40 დღე, რაც შენ ჩვენს შორის აღარ ხარ. ჩვენი ოჯახის პირველი სიხარულიც და პირველი ტკივილიც შენ ხარ, ნინო!

უცნაურად და სევდიანად წარიმართა შენი ცხოვრება. 13 წელი სიყვარულით შერთული მეუღლის-გელას გზას გაჰყურებდი გერმანიაში.

შენც მოურჩენელი დაავადება შეგეყარა. სამი წლის მკურნალობა უშედეგო აღმოჩნდა. ნუთუ, ეს იყო ორივეს ბედისწერა?! ადამიანის სიცოცხლე ხომ ბედისწერის ერთი დიდი წიგნია. ცხოვრების ნახევარიც ვერ გალიე, 50 წელიც ვერ შეგისრულდა, შენი შვილების- ბექას და ანის ბედნიერებას ვერ მოესწარი.

დიდი ტკივილი მიაყენე დაობლებულ შვილებს, შენს მშობლებს, ერთადერთ ძმას, მეგობრებს, თანამშრომლებს...

ავადმყოფობისას ყველა გვერდით გედგა, განსაკუთრებით შენი მაძლი გია, რომელიც თავისი ოჯახით თავს გევლებოდა. ველარავინ გიშველა, შენი სიცოცხლის გასახანგრძლივებლად უძლური აღმოჩნდა ყველა.

ეკლესიურად ცხოვრობდი და სამუდამო სასუფევლამდე ც ეკლესიიდან გაგაცილეს. უამრავი ყვავილი და ცრემლი გამოგაყოლეთ...

ილოცე შენი შვილებისთვის, მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა.

შენი ოჯახი.

გივი კაისაძე



დრო მიდის, შენ კი წარსულში დარჩი. უშენოდ ყველაფერმა მოიწყინა, ყველაფერს ბინდისფერი დაედო.

გვახსოვხარ: მოსიყვარულე, ერთგული, გულწრფელი, სამშობლოს საოცარი გულშემატკივარი. აბა, ვინ დარჩებოდა შენი მოუკითხავი. ადამიანებით ხარობდი, შენი ბოლოდროინდელი ჯანმრთელობის მიუხედავად, მაინც ურეკავდი ყველას და შორიდან ეფერებოდი.

მუდამ მომღიმარს ბოლო დროს სევდა შეგეპარა, დარდობდი შენს უიმედო მდგომარეობაზე, მაგრამ არ ტყდებოდი. ზრუნავდი შენს ახლობლებზე, მეგობრებზე, გაჭირვებულებზე, ცოცხლებსა თუ მიცვალებულებზე.

გვენატრები შენი აფორიაქებული, სითბოთი სავსე გულით. რომელიც ყველას უნილადე და აჰა, დაილია იგი კიდეც. შენი ცოლ-შვილი, დები, დისშვილები და ახლობლები მოგტირით და გვეშინია უშენობის, რომელიც ცივია, ძალიან ცივი, როგორც შენი სამარე.

უკვე ორმოცი დღე გავიდა, რაც შენ ჩვენთან აღარ ცხოვრობ და ტკივილამდე გვენატრები. ჟამთასვლა ვერაფერს დააკლებს ჩვენს სიყვარულს შენდამი. ისღა დაგვჩენია, ვილოცოთ შენთვის და ვევედროთ უფალს, თავისი კალთის ქვეშ გამყოფოს.

მეუღლე ლეილა,
შვილები: გიორგი, თამარი, ნიკა; **დები** ნაირა და დონარა ოჯახებით

გამოსათხოვარი

ანზორ მარტყოფლიშვილი



საქართველოს სპორტულმა საზოგადოებამ კიდევ ერთი სერიოზული დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ანზორ მარტყოფლიშვილი.

ანზორ მარტყოფლიშვილი ადამიანთა იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, რომელსაც დიდი ნარდგენა არასოდეს სჭირდებოდაა. ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს არაოფიციალურ პირველობად აღიარებული თბილისის საერთაშორისო ტურნირის პირველი ქართველი გამარჯვებული – ტიტულებისთვის მხოლოდ ესეც კმარა, საზოგადოებრივ საქმიანობას კი რაც შეეხება, ჯერ ხომ ყოფილი საბჭოთა კავშირის დროსაც ძიუდოში ტრიალებდა, ბოლო 27 წელიწადი ძიუდოს დამოუკიდებელ ფედერაციაში მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ პოსტზე. უკვე ნელ-ნელა შანაც გადმოიბარა „ძიუდოს პაპის“ საპატიო ტიტული.მან 60 წელზე მეტი შეალია ძიუდოს. ყოველთვის გული შესტკიოდა სპორტის ამ სახეობაზე, განიცდიდა, თუ რაიმე ყოფითი პრობლემა ხელს უშლიდა ამ სახეობის განვითარებას...

მომავალი თაობის ხსოვნაში მუდამ დარჩება ანზორ მარტყოფლიშვილი, როგორც ძიუდოს დიდი მოამაგე.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია.

გამოსათხოვარი

ნინო კიკილაშვილი

ჩვენო საყვარელო, ჭკვიანო, სათნო და კეთილო ნინო, შეუძლებელია იმ რეალობის მიღება, სადაც შენ აღარ იქნები, სადაც შენ გარეშე გაგრძელდება ცხოვრება, სადაც შენზე წარსულში ვილაპარაკებთ.. ხანმოკლე, თუმცა ძალიან შინაარსიანი და აზრიანი იყო შენი 16 წელი.

შენ თავად იყავი იმედი, სხივი, სიკეთე და ბედნიერება... მუდამ ჩვენთან დარჩება შენი ღიმილიანი და სათნო სახე... შეუძლებელია იმ ტკივილის გადმოცემა, რომელსაც დღეს განიცდის შენი მშობლიური ხორნაბუჯის სკოლა. სიტყვა უძლურია, ტკივილი განუზომელი, უსაშველო, უსასრულო. როგორც სიცოცხლეში ცვლიდი სკოლის ცხოვრებას შენი წარმატებითა და ნიჭიერებით, ისე შეცვალე ახლაც ყველაფერი სამუდამოდ, დაუბრუნებლად... უსამართლობაა შენი ხანმოკლე წუთისოფელი...

ხორნაბუჯის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

დედა ქეთევან საბიაშვილი, მამა ზურაბ, ძმა სოსო (იოსებ), მამიდა ანა კიკილაშვილები იუწყებიან
ნინო კიკილაშვილის
გარდაცვალებას. დაიკრძალა დედოფლისწყაროში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი თანაგრძნობას უცხადებს ზურაბ და ანა კიკილაშვილებს
ნინო კიკილაშვილის
გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო მწუხარებას გამოთქვამს
ნინო კიკილაშვილის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლა სამძიმარს უცხადებს ქეთევან საბიაშვილისა და ზურაბ კიკილაშვილის ოჯახს შვილის
ნინო კიკილაშვილის
გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ანა, ზურაბ კიკილაშვილებს, ქეთევან საბიაშვილს
ნინო კიკილაშვილის
გარდაცვალების გამო.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ზურაბ და ანა კიკილაშვილების ოჯახს
ნინო კიკილაშვილის
გარდაცვალების გამო.

მამიდაშვილები: მანანა და დავით შანშიაშვილები; ბიძაშვილები – ცისია, ნანა, ირაკლი, შოთა კიკილაშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ქეთევან საბიაშვილს, ანა, ზურაბ, სოსო კიკილაშვილებს
ნინო კიკილაშვილის
ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი სამძიმარს უცხადებს ქეთევან საბიაშვილისა და ზურაბ კიკილაშვილის ოჯახს შვილის
ნინო კიკილაშვილის
გარდაცვალების გამო.

კობა ალუღიშვილი და ვასილ აბულაშვილი ოჯახებით იუწყებიან
ნინო კიკილაშვილის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის 1973 წლის X¹ კლასის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის
ავთო გოგილაშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული ძიუდოს დიდი მოამაგე
ანზორ მარტყოფლიშვილი
და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

გამარჯვების პროფესორ ა. პოპიაშვილის სახელობის საჯარო სკოლის 1957/58 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები: ელიზა სულაშვილი, ნათელა პოპიაშვილი-ბენაშვილი, ჯუმბერ სულაშვილი, ელიზბარ ღორაშვილი იუწყებიან თანაკლასელის
ტარიელ ფიროსმანაშვილის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ შვილებს: ზაზა და ხათუნა ფიროსმანაშვილებს.

ფეხბურთს შევეშვი და ...

წლების წინ, სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი, როცა აღმოვაჩინე, რომ თურმე დედოფლისწყაროში პარკურს არაერთი ახალგაზრდა მისდევდა. პარკური სიმაღლეებიდან და კედლებიდან ხტომას გულისხმობს, მართალია, მათ ბევრი ემდუროდა, სკვერებში ბოძები მოირყაო, მაგრამ მაინც საინტერესო მასალა მომზადდა. ამის შესახებ „შირაქი“ რამდენიმე წლის წინ წერდა. ახლაც იგივე განცდა მაქვს, რადგან სპორტის კიდევ ერთი იშვიათი სახეობის მიმდევარი უნდა გაგაცნოთ. ერთ-ერთი ფრისტაილერი დედოფლისწყაროელი ახალგაზრდა ყოფილა. Freestily სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ, თავისუფალ სტილს ნიშნავს, სადაც შეზღუდვები არ არის. სირთულის გამო ჩვენს ქვეყანაში არცთუ ბევრი ახალგაზრდა დაკავებული. მაგრამ კიდევ უფრო იშვიათია ფრისტაილის განხრა, სადაც ცეკვისას ბურთსაც იყენებენ. ასეთია სოფელ სამრეკლოს მკვიდრი, 21 წლის ილია ცოფურიშვილი. მისი უცნაური გატაცებით გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა.

ილია ცოფურიშვილი: „სპორტული ცხოვრება ყოველთვის მომწონდა, თავდაპირველად ფეხბურთელი ვიყავი. ჯერ დედოფლისწყაროშიც დავდიოდი ფეხბურთზე, თუმცა შემდეგ განვითარება მინდოდა და თბილისშიც ვცადე გადასვლა. „დინამოში“ ვთამაშობდი, ამ დროს სხვა სპორტსმენების ვარჯიშებს ხშირად ვაკვირდებოდი ხოლმე. ინტერნეტით ხშირად ვუყურებდი ფეხბურთელების ვიდეოებს, ერთხელაც, სრულიად შემთხვევით ფრისტაილის ვიდეო ვნახე. ამ მოძრაობებმა იმდენად დამაინტერესა, მალევე გადავწყვიტე, მეც მეცადა და ვარჯიში დამეწყო. ფეხბურთს შევეშვი და ამ სახეობაში დავიწყე სერიოზული მზადება. 5 წელია ვვარჯიშობ, კოლოსალურად დიდ დროს ვუთმობ ფრისტაილს. ხანდახან ბრეიქ დანსსაც ვცეკვავ.

– ერთერთი ჯგუფის წევრი ხარ, იქ როგორ მოხვდი?

– ამჟამად საკმაოდ ცნობილი ჯგუფის წევრი ვარ, „სეუ არტ პროჯექტი“ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა და მათივე დარბაზში ვვარჯიშობთ. სეუ-ს გუნდში მოხვედრა ადვილი არ იყო, სპეციალური შერჩევა გავიარე და საბედნიეროდ, დამტოვეს. ვაპირებთ კიდევ უფრო განვვითარდეთ და ვგეგმავთ, პროექტ „ნიჭიერშიც“ მივიღოთ მონაწილეობა ჯგუფის სახელით. საკმაოდ ხშირად გვაქვს კონცერტები, მჭიდრო კონტაქტი გვაქვს ტელევიზიებთან და სხვადასხვა შოუებში ვცეკვავთ. ამ სფეროში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. როცა ჩვენი ჯგუფი კონცერტზე გამოდის, ყველა წევრი თავის ნომერს წარადგენს. ეს საშუალებას გვაძლევს გამოცდილება მივიღოთ და უფრო განვვითარდეთ. ხშირად გვაქვს აქტივობები. ამასწინათ, სეუ-ს მხარდაჭერით ქუჩის ცეკვების შეჯიბრის ორგანიზატორები ვიყავით. საკმაოდ კარგი პრიზი იყო დაწესებული, გამარჯვებული ამსტერდამში გაემგზავრებოდა. ეს ივენთი ტელევიზიებითაც გაშუქდა, რაც დამატებითი სტიმული იყო ჩვენთვის.

– ფეხბურთს რატომ არ გაყევი?

– ფინანსური პრობლემების გამო მომიწია ფეხბურთისთვის თავი დამენებებინა. ვარჯიში ფასიანი იყო და მაე მივხვდი, რომ მათთვის მთავარი იყო გადასახადი შემეტანა და მნიშვნელობა არ ჰქონდა, როგორ ვითამაშებდი. სამწუხაროდ საქართველოში ყოველთვის ასე ხდება, ამიტომ პერსპექტივა ვერ დავინახე და სხვა მიმართულებით წავედი.

– ოჯახი რას ამბობდა შენი იშვიათი გატაცების შესახებ?

– ბევრი რამ გადავიტანე ამ ხნის განმავლობაში. ოჯახიც წინააღმდეგი იყო, მშობლები სულ მეკამათებოდნენ, „შეეშვი, ხომ ხედავ ბურთით არაფერი გამოდისო“, მაგრამ ჩემთვის აზრის შეცვლა ვერავინ შეძლო. ბოლოს მიხვდნენ, რომ აზრი არ ჰქონდა და ინტერესს ვერ დავკარგავდი, საყვედურებმაც იკლო. იმედგაცრუება ფეხბურთის გამო ჰქონდათ, ეგონათ, აქაც არ გამიმართლებდა.

– ეს მიმდინარეობა მხოლოდ ვიდეოებიდან შეგიყვარდა, თუ ვინმეს იცნობდი, ვინც გავლენა მოახდინა შენზე?

– არავის ვიცნობდი, საქართველოში სულ ორი ადამიანი ვართ. ფრისტაილი არცთუ იშვიათია, მაგრამ გაცილებით ცოტა მიმდევარი ჰყავს, რომლებიც უშუალოდ ბურთთან ერთად ასრულებენ. მეც უფრო ბურთს ვიყენებ ცეკვისას. ჩემი ინდივიდუალური სტილი მაქვს. მსოფლიოში იშვიათია, ვინც ასეთ სტილზე ცეკვავს. საქართველოში მეორე მოცეკვავეცაა, ვინც ბურთს იყენებს, თუმცა ისიც რადიკალურად განსხვავებულია ჩემგან. სხვადასხვა ილეთებს ვხვეწავთ. ზოგადად ე.წ. ფინტები ბავშვობიდან მიყვარდა, ფეხბურთის დროსაც ფინტებს ხშირად ვაკეთებდი, მაგრამ ფრისტაილის შესახებ არ ვიცოდი. ამდენად მრავალფეროვანი და გამდიდრებული ილეთები თუ იყო, არც წარმომედგინა, ამიტომაც ჩამითრია, რომ მისი მრავალფეროვნება ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის. ამდენი რამის მოხერხება თუ შეიძლებოდა, ჩემთვის ეს დიდი სტმული იყო და ენთუზიაზმი გამიჩნდა. დავისახე მიზნად, რომ მსოფლიოს ფრისტაილერების დონეზე დამეხვეწა მოძრაობები და თავს არ ვზოგავდი, მაქსიმუმს ვაკეთებდი და ხშირად მაქსიმუმზე მეტსაც. ამ პრინციპით ვცხოვრობ, არ უნდა ამოწურო, მაქსიმუმზე მეტი უნდა აკეთო და არ გაჩერდე. ყოველთვის უნდა განვითარდე და ახალი ეძებო.



– რატომ ჯანსაღი ცხოვრების წესი?

– ჩემთვის ჯანსაღი ცხოვრების წესი უმთავრესია. მთავარია, ძალიან მიყვარს ჩემი საქმე და ცხოვრებაში იმას ვაკეთებ, რაც მიყვარს. ყურადღება არ უნდა მიაქციო სხვა რას ამბობს. შენი საქმით უნდა მიიღო სიამოვნება. როდესაც მეკითხებიან, რა სარგებელს მაძლევს ამის კეთება, ყოველთვის ვპასუხობ, შესაძლოა მატერიალურ სარგებელს არ ვიღებ, მაგრამ მთავარია მსიამოვნებს. როცა შენს საქმეს სიამოვნებით აკეთებ, მაშინ ყველაფერს მიაღწევ და მეც მჯერა რომ შრომა დამიფასდება და წარმატებებს მივაღწევ. მავნე ჩვევები არ მაქვს, სიგარეტს არ ვეწევი და არც მომიწევია. უნდა იცხოვრო შენ როგორც გინდა და არა ისე, როგორც სხვა ფიქრობს. ჩემთვის მიუღებელია ნარკოტიკი... არა იმიტომ, რომ სპორტს მივდევ, სხვა შემთხვევაშიც არ მოვიხმარდი არც მსუბუქს და არც მძიმე ნარკოტიკს. ვთვლი, რომ ადამიანმა არ უნდა მიიღოს არანაირი ნარკოტიკი.

– რა არის შენი, როგორც ახალგაზრდის, სათქმელი?

– ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში, სადაც ნიჭს სათანადოდ არ აფასებენ. ბევრი ნიჭიერი განვითარებას ვერ ახერხებს, ხელშეწყობა არ არის და უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდა იკარგება. ეს კი იმედგაცრუებას იწვევს, ბევრი რამით ვართ ჩამორჩენილები. ადვილი არც ჩემთვის იყო ამ გზის გავლა, ბევრი რამ გამომივლია, შიმშილი, სიცივე, ბევრჯერ გარეთაც დავრჩენილვარ, ღამით სეუშიც დავრჩენილვარ, მაგრამ საქმისადმი სიყვარული არ გამნელებია. მიზანი იმდენად ძლიერი იყო, ეს ყოველთვის მეხმარებოდა სირთულეები დამეძლია. მეგობრების მხარდაჭერაც ბევრჯერ დამხმარებია. ამ სფეროში ბევრი მეგობარი შევიძინე, ამიტომაც ისინი უპირველესები არიან ჩემთვის.

შემოთავაზება მაქვს კულტურის და სპორტის ცენტრებთან, მაგალითად ელიაობისა და დედოფლისწყაროობის დღეებში როდესაც კონცერტები იგეგმება, მონაწილეები თბილისიდან ჩამოჰყავთ და ფულს უხდიან, მეც შემიძლია და ძალიან მინდა, ჩემს რაიონს ვაჩვენო ჩემი შესაძლებლობები. ადგილობრივებსაც უნდა ჰქონდეთ საშუალება. სულ სხვა განცდაა, როცა იქ გამოდიხარ, სადაც დაიბადე და გაიზარდე.

– გეთანხმები... მეც მიმაჩნია, რომ ადგილობრივები, მაგალითად ისეთი მომღერალი, როგორიც თუნდაც თამარ ყველაშვილია, მან „ნიჭიერის“ დიდ სცენაზე მოიპოვა აღიარება და დედოფლისწყაროს სცენაზეც უნდა გამოდიოდეს...

– ამის შესაძლებლობა სამწუხაროდ ჯერ არ მქონია. ძალიან ბევრ კონცერტში ვმონაწილეობ, მაგრამ მინდა, საკუთარ მხარეში გამოვიდე.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

მარინა ღვინიაშვილს!

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, გახარებას თქვენს ლამაზ ოჯახთან, თქვენს საამაყო შვილებთან ერთად. წლების მანძილზე, თქვენი პროფესიის წყალობით, ბევრი ადამიანისთვის აღმოგიჩენიათ დახმარება, ბევრის სიცოცხლე გადაგირჩენიათ. გვინდა, რომ დიდხანს გქონდეთ ახალგაზრდული ენერგია და სულიერი სიმხნევე, რათა კვლავ ემსახუროთ თქვენს პაციენტებს.

პატივისცემით,
ვანო ნატროშვილი, ხათუნა აგლაძე, დიტო ყოჩიაშვილი,დოდო უთრუთაშვილი, ნარა გორაშვილი, ნანა ჭიჭინაძე.

ვაკანსია!

ქალაქ დედოფლისწყაროში მდებარე მაღაზია აცხადებს ვაკანსიას **გამყიდველის** პოზიციაზე, ხოლო სასტუმრო – **ადმინისტრატორისა** (სასურველია რუსული და ინგლისური ენების მინიმალური ცოდნა) და **მზარეულის** პოზიციაზე. ანაზღაურება შეთანხმებით. მსურველებმა დარეკეთ:

☎ 599 08 01 28

ვაკანსია!

გვესაჭიროება მუშახელი სამთაწყაროში, სასურველია, იყოს ახალგაზრდა ოჯახი. სამუშაო დარგი: სოფლის მეურნეობა. დასაქმებულები იქნებიან კვებითა და ბინით უზრუნველყოფილნი, შრომის ანაზღაურება – მაღალი. გამოსაცდელი ვადა –1 თვე. ეს პერიოდი ანაზღაურდება. დეტალური ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

☎ 577 46 26 27 (დარეკეთ საღამოს საათებში).

ყურადღება!

ქალაქ დედოფლისწყაროში გაიხსნა სილამაზის სალონი **„იმიჯი“**, ბარათაშვილის ქუჩა №2-ში.
(ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორია).
დაგვიკავშირდით:

☎ 577 54 31 24
577 07 19 71

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 21.05		სამშაბათი 22.05		ოთხშაბათი 23.05		ხუთშაბათი 24.05		პარასკევი 25.05		შაბათი 26.05		კვირა 27.05	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
22 °	19 °	21 °	19 °	23 °	21 °	24 °	21 °	25 °	21 °	25 °	21 °	26 °	20 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქინქლაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.